საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW –
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
FACULTY OF PSYCHOLOGY AND EDUCATIONAL SCIENCES

№ 1/26-09-02 „28" 04 2017 წ

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე, 2016-2017 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში, დოქტორანტთა საუნივერსიტეტო დაფინანსებისათვის დოკუმენტების წარმოდგენის ვადების განსაზღვრის შესახებ

N 1/26-09-02

უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 29–ე მუხლის მე–3 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის 135/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტისა და 21–ე მუხლის მე–6 პუნქტის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2015 წლის 29 ივლისის N126/01-01 ბრძანების, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს 2015 წლის 25 სექტემბრის სხდომაზე დამტკიცებული „ფაკულტეტის დოქტორანტთა საუნივერსიტეტო დაფინანსებისათვის კანდიდატთა შერჩევის წესის" მე-7პუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. გამოცხადეს კონკურსი ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე დოქტორანტთა საუნივერსიტეტო დაფინანსების მოსაპოვებლად.

2. საკონკურსო დოკუმენტები მიიღება 2017 წლის პირველი მაისიდან 2017 წლის 5 მაისის ჩათვლით, 10:00 -დან 17:00 საათამდე, ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, თსუ-ის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის კანცელარიაში. მისამართი: თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზირი №11 (თსუ-ს III კორპუსი), I სართული, ოთახი №108.
3. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად დოქტორანტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:

   ა) განაცხადი კონკურსში მონაწილეობის შესახებ (დანართი 1);
   ბ) ავტობიოგრაფია (CV);
   გ) სამეცნიერო პუბლიკაციების, განხორციელებული სამეცნიერო–კვლევითი, კვალიფიკაციის ასამაღლებელი და სასწავლო აქტივობების ჩამონათვალი;
   დ) სამეცნიერო ხელმძღვანელის შუამდგომლობა;
   ე) ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ;

ილია ჭავჭავაძის გამზ. 11 მე-3 კორპუსი 0179 თბილისი, საქართველო
11, Ilia Tchavtchavadze Ave., building 3, 0179 Tbilisi, Georgia
http://www.tsu.edu.ge
ტელეფონი: +(995 32) 222 44 69 Tel.
ელ.ფოსტა: psy-edu@tsu.ge; E-mail

ვ) ამონაწერი სტუდენტის ბარათიდან GPA-ის მითითებით.

4. კონკურსის შედეგები გამოცხადდეს არა უგვიანეს 2017 წლის 15 მაისისა.

5. ბრძანების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილას გამოქვეყნება დაევალოს კანცელარიას.
6. ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსება დაევალოს ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურს.
7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა

ფაკულტეტის დეკანი თამარ გაგოშიძე

FACULTY OF PSYCHOLOGY AND EDUCATIONAL SCIENCES

დანართი 1

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა

ფაკულტეტის დეკანს, პროფესორ თამარ გაგოშიძეს

დოქტორანტი----------

პირადი ნომერი----------

სადოქტორო პროგრამა----------

სამეცნიერო ხელმძღვანელი----------

განცხადება

გთხოვთ, მიიღოთ ჩემი საბუთები 2016-2017 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში დოქტორანტურაში სწავლისათვის საუნივერსიტეტო დაფინანსების მოსაპოვებლად.

წარმოდგენილი დოკუმენტების ჩამონათვალი:

1. ავტობიოგრაფია (CV);

2. სამეცნიერო პუბლიკაციების, განხორციელებული სამეცნიერო–კვლევითი, კვალიფიკაციის ასამაღლებელი და სასწავლო აქტივობების ჩამონათვალი

3. სამეცნიერო ხელმძღვანელის შუამდგომლობა;

4. ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ;

5. ამონაწერი სტუდენტის ბარათიდან GPA-ის მითითებით.

დოქტორანტის ხელმოწერა----------

თარიღი ----------

ტელეფონის ნომერი ----------

ელფოსტა----------